გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#4

21 აპრილი 2021 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სახამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან გორგოძე
დიომიდე კიკნაველიძე
გაბრიელ ღიბრაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლები: ნაზიმი კბილაშვილი, თამთა ჯიხვაძე
შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის წარმომადგენელი: თამაზი გოგოლაძე
შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსი: რეზო ზივზივაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის წარმომადგენლობითი სამსახურის სპეციალისტი: შალვა კვინიხიძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის წარმომადგენელი: ტარიელ ყიფიანი
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: მამუკა ხურციძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინფორმაცია წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფის (ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების) განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: თემურ გოგსაძე, რეზო ზივზივაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ინფორმაცია წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფის (ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების) განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის წარმომადგენელმა: თამაზი გოგოლაძემ აგრეთვე სამელიორაციო საკითხებზე ინფორმაცია წარმოადგინა შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსმა: რეზო ზივზივაძემ

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა თამაზი გოგოლაძეს, რომ წყალის ამღვრევის შემთხვევაში წყალი იკეტება

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის წარმომადგენელი: თამაზი გოგოლაძემ, უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ როდესაც წვიმის შედეგად წყალი იმღვრევა ამ შემთხვევაში ვკეტავთ წყალს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძემ განაცხადა, რომ წყალს ასევე მოყვება ქვიშა და ეს პრობლემა ჯერ მოუგვარებელია

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის წარმომადგენელი: თამაზი გოგოლაძემ, განაცხადა, რომ არის დაზიანებები ჩიხებში საიდანაც მაგისტრალს უერთდება და ამღვრევს წყალს

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე წყალის ჩამოყვანის შემთხვევაში სოფელ ხანიდან თუ იქნება საკმარისი დებეტი

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის წარმომადგენელი: თამაზი გოგოლაძემ, უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ წყალის ჩამოყვანის შემთხვევაში სოფელ ხანიდან დებეტი არ იქნება საკმარისი მთელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსამარაგებლად

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენელი: ნაზიმი კბილაშვილმა განაცხადა, რომ სოფ. წყალთაშუაში ცენტრალური რეზერვუარიდან ახლოს წყალი ნორმალურია შემდგომ კი ბინძურდება რასაც მილები და მაგისტრალი იწვევს

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა რეზო ზივზივაძეს სარწყავი სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია თუ გრძელდება

შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსმა: რეზო ზივზივაძემ უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ შემცირებულია ტემპით სარწყავი სისტემის აღდგენითი სამუშაოები, წელს ვაკეთებთ იმ დაზიანებებს რომლის აღდგენაც განსაკუთრებულად აუცილებელია

შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსმა: რეზო ზივზივაძემ განაცხადა, რომ სარწყავი არსის გამართული მუშაობა აუცილებლებელია ბევრმა ფაქტორმა შეგვიშალა ხელი არის სხვადასხვა სარწყავი არხები დასამთავრებელი და რეაბილიტაცია ჩასატარებელი და იქნებ როგორმე დავასრულოთ და გადავჭრათ ეს პრობლემატური საკითხები

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ ინფორმაცია წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფის (ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების) განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ, კომისიამ მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე